

130219

69.7 ✓



საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო სასო-  
ციალური კვლევის ცენტრი

# საქართველოს სიძველენი

ტომი III, დამატება.

თბილისი—1926

83

(47.93) 9  
ს. 27



საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა



# საქართველოს სიძველანი

ტომი III, დამატება.

57201



თბილისი — 1926

930.221 (479.22)

ჩვენსი ისტორიის საზოგადოების საბჭოს დადგენილებით




---

დაიბეჭდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს დადგენილებით (ოქმი № 243).

მდივანი ს. ჯანაშია

---

F 8.735  
4

საქართველოს  
ენციკლოპედია  
საბჭოს  
ბიბლიოთეკა

თფილისი. ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრ. 1-ლი სტამბა, პლენ. 34. № 91.  
8/VI-26. შეკვ. № 7871/1267. მთავ. ლიტ. 23. ტირ. 950.

## წიგნის ბეჭდვა.

ქვემდებარე გამოცემას საფუძვლად დაედო ის ერთი თაბახი, რომელიც ე. თაყაიშვილის რედაქტორობით ჯერ კიდევ 1911 წელს დაიბეჭდა სპ. ლოსაბერიძის სტამბაში და რომელიც „საქართველოს სიძველენი“-ს მორიგი, IV, ტომის პირველსა, და ამასთანავე ერთადერთ დასტამბულს, რვეულს წარმოადგენდა. ვინაიდან აღნიშნული ტომის ბეჭდვა, სხვადასხვა მიზეზების გამო, შეწყდა და რადგან საზოგადოების საბჭოს სასურველად აღარ მიაჩნია საბუთების ძველი წესით გამოქვეყნება, საბჭოს დადგენილებითვე (საბჭოს სხდომის ოქმი № 243, 9—XII—1925) ბროშურა გამოდის III ტომის დამატების სახით. ამასთანავე, უკანასკნელი საბუთის ტექსტი ნაწილობრივ ახლად არის გადმოწერილი და დაბეჭდილი (გვ. 17—18), ხოლო დანარჩენი საბუთები კიდევ ერთხელ შეჯერებულია დედნებზე, როცა ეს უკანასკნელი ხელისაწვდომი იყვნენ გამოცემის მეთვალყურისათვის. ამ შემოწმების შედეგები აქვეა დართული Addenda et corrigenda-ს სახით.

ტფილისი, 23. VI. 1926.

---

შ ი ნ ა ა რ ს ი.

	გვერდი.
1. 1170 წ. გიორგი III-ის სიმტკიცის სიგელი შიომღვიმის მონასტრისადმი . . . . .	1
2. 1365 წ. დავით გიორგის ძის წყალობის სიგელი (ბრძანება?) ეზოს ჩუხჩერახის პიპოსადმი . . . . .	7
3. 1426 წ. ალექსანდრე დიდის წყალობის სიგელი ზევდგინისძეთადმი . . . . .	7
4. 1429 წ. ალექსანდრე დიდის წყალობის სიგელი ზევდგინისძეთადმი . . . . .	9
5. 1430 წ. ალექსანდრე დიდის წყალობის სიგელი ზევდგინისძეთადმი . . . . .	12
6. 1453 წ. გიორგი IX-ის წყალობის სიგელი ზევდგინისძეთადმი . . . . .	14
7. 1460—1465 წ. გიორგი IX-ის საფიცრის წიგნი ზევდგინისძეთადმი (?) . . . . .	15
8. 1477 წ. მეჯინიბეთუხუცესის მამისა ზევდგინისძის ანდერძის წიგნი თავის ძმისწულის ზაქარიასადმი . . . . .	16

## საქართველოს სიძველენი

1. გუჯარი მეფე გიორგი მესამისა, მიცემული შიომღვიმის მონასტრისათვის, 250 X 22,5 სანტიმეტრი, დაწერილია თხელს, მაგრამ მტკიცე ეტრატზედ მეთორმეტე საუკუნის ლამაზის მხედრულის ხელით და შავის მელნით. ნიშნებათ იხმარება ზოგჯერ ორ-ორი წერტილი და ზოგჯერ აზრის დამთავრების ბოლოს ორი წერტილი და ხაზი: ეტრათი შესდგება ხუთი ერთმანეთზე აბრეშუმის ძაფით მიკერებულის ნაჭრებისაგან. ტექსტი მოქცეულია პირველ გვერდზე ეტრატისა. მეორე გვერდზე შემდეგ დროის მხედრულის ხელით აწერია: „ქ: სიგელი ც(ი)ხელიდისა, ცხვარისა, ცხირეთისა, გავაზისა, გველდუნისა, ბუიტისა და ჯვარის კოდმანისა, აგარისა“. ამას ზემოთ ნუსხა ხუცურის ხელით და მქრალის მელნით ცოტა შეცვლით იგივეა გამეორებული. ამ გუჯრით მეფე გიორგი მესამე უახლესს შიომღვიმის მონასტერს ყველა ძველ გუჯრებს და უმტკიცებს მამულებს, რომელნიც მიუციან მონასტრისათვის წინანდელ მეფეებს, თუ დიდებულებს. გუჯარი გადმოსცა ჩვენ საზოგადოებას მღ. პოლიევკტ კარბელაშვილმა. მის მიერვე იყო დასტამბული პირველად ამ გუჯრის ტექსტი გაზეთ ივერიაში 1901 წ. №№ 6 ზ 7. გუჯარი დაწერილია მეთოთხმეტე ინდიკტიონს გიორგი მესამის მეფობისა. ეს უდრის 1170 წელს: გიორგი მესამე გამეფდა 1156 წელს (1156+14=1170). ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ სიგელი მიცემულია გიორგი მესამისაგან და არა სხვა გიორგი მეფისაგან: სიგელის მიმცემი გიორგი თავის მამად იხსენიებს მეფე დიმიტრის და პაპად მეფე დავითს. მართლაც გიორგი მესამე იყო ძე დიმიტრი პირველისა და შვილის-შვილი მეფე დავით მეორისა აღმაშენებელისა, ასე რომ დავით აღმაშენებელი გიორგი მესამის პაპა არის. გუჯარში მოხსენებულია ჩვენამდის

საქართველოს სამკვლევანი

მოდწეული ანდერძი დავით აღმაშენებელისა. არა თუ ეგ ანდერძია მოხსენებელი, არამედ ჩამოთვლილია ყველა ის პირნი, რომელთაც მეექვსე საუკუნიდან მეთორმეტე საუკუნემდის შიომღვიმისათვის შეუწირავთ მამულები, ანუ რომელთაგან მონასტერს უყილია ადგილები. ეს გუჯარი გვიმოწმებს სინამდვილეს ბევრ ცნობათა, რომელნიც ქართლის ცხოვრებიდან და სხვა საბუთებიდან ვიცით. ამას გარდა გუჯარი ხელს უწყობს მეფის კარის გარიგების და სახელმწიფო წეს-წყობილების შესწავლას. აქ მოხსენებულია ზოგი ისეთი გადასახადები, რომელნიც სხვა წყაროებში არ არიან ცნობილნი. ამიტომ ეს გუჯარი ძვირფასი საბუთია ჩვენი წარსულის შესასწავლათ. გუჯარს ამტკიცებს თავის ხელის მოწერით მეფე გიორგი.

1170. „ქ. სსხელითა დ'თისაითა, გიორგისაგან (გ'ისგან) ბაგრატუნისანის, ნებითა დ'თისაითა აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კასთა მეფისა, შარვანშა და შაჰანშა და აღმოსავლისა და ჩრდილოისა მთელბეღისა: მოვიდეს ჩუენ წინაშე წმიდანი (ჩ'ნ წ'ე წ'ნი) მამანი უდაბნოისა დიდისა მღუიმიანისი, მამაი იოანე (ი'ნე) შემღუიშე, და მოიხრეს სიგელნი დიდისა მეფეთა მეფისა, შაჰისა ჩუენისა, დავითი [ი] და მამისა ჩუენისა (ჩ'ნსა) დე მეტრე (დ'ე) მეფისანი და სხუანი ძუელნი მრავალნი შაჰათა და მამათა ჩუენთანი, და გუეჭავნეს და მოგუაკსენეს, რ[ათა]მცა ვითა მათ სიგლითა მათითა გაჩენია ჳ გაუგია ზირუელად (ზ'დ) თუით წმიდისა მის უდაბნოისა მღუიმიანთუის და მერმე უოელნი სოფელნი მათნი გაუთავისუფლებიან ეოფლისა მწუენრისა მათისა და დამაჭირებლისა და ჩუენთა კელისუფალთა შესავლობისაგან, ეგრეთვე ჩუენ გაუხალენით ძუელნი სიგელნი სიგლითა ჩუენითა და დავამტკიცეთ ბრძანებაი (ბ'ანი) და სიგელი შაჰათა და მამათა ჩუენთა: ჩუენ ვისმინეთ ჳჯაი მათი და მოკსენებაი, და დიდთა მეფეთა შაჰისა ჩუენისა და მამისა ჩუენისა ბრძანებანი და სიგელნი ამით ჩუენითა სიგლითა გაგუიანლებიან და მათნი დაგუიმტკიცებიან. ზირუელად (ზ'დ) თუით წმიდაი იგი უდაბნოი მღუიშე, ვითა ეოფლითურთ უწუენარი ეოფილა და თავისუფალი ეოფლისა წუენისაგან, ეგრ-

რეკე იეს, ვითა თუთ ზანის ჩუენისა ანდერძსა სწერის<sup>1)</sup>. ნუმცავის უკადრებია მას ზედა სიტუეისა შემოდება და ცილობაი. მერმე აგარანი მათნი სხედდებით სოფელი სსა ლტბაი და მათი კერძი გორაკანი წმიდისა ევაგრეს გან მოსეიდული<sup>2)</sup>; აგარანი ჭოჯიკის გან მთავრისა მოსეიდული<sup>3)</sup>; რუეთი ნასეიდი ჭ შემოწირული; შიფის-გუბანი ყოველი (ეღი) მოსეიდული თუთ მონაზონთა მეუღანთაგან<sup>4)</sup>; ჩიქუნური რუსისა ნასეიდი, მისგან აშენებულნი და შემოწირულნი<sup>5)</sup>; ხორვაი მამისა ჩემისა ნამოძვარი სამდუმოდ, გორაკისგან შემოწირული; ივან-წმიდაი ძუელადე გოდერძისა შემოწირული<sup>6)</sup>; დათი კვირიკე (ჭე) კახთა მეფისაგან შემოწირული<sup>7)</sup>; ალაკინი ხახვდაგისგან შემოწირული;

1) აქ იხსენიება გუჯარი, გუჯარშივე ანდერძად წოდებული, რომელიც დავით აღმაშენებელმა მისცა შიომღვიმის მონასტერს შირვანზე გალაშქრების წინ 1123 წ. და რომელმაც ჩვენამდის მოაღწია. ამ გუჯარით დავითმა გაანთავისუფლა შიომღვიმის მონასტერი ყოვლის ხარჯისაგან და მიანიჭა თვით-გამგეობა. იხ. თ. ყორდანი: *Завыщание царя Давида Возобновителя, данное Шю-мгвимской лавры въ 1123 г.*

2) სოფლები სხალტბაი და გორგვანი მდებარეობენ შიომღვიმიდან ოთხი ვერსის მანძილზედ ჩრდილოეთით. ევაგრე თანამედროვე იყო წმიდა შიოსი, ბერათ შედგა და დაემოწაფა წმიდა შიოს მეექვსე საუკუნეში.

3) ჯოჯიკი მთავარი ქართლისა იყო ტაოელი, სცხოვრობდა მეათე საუკუნეში და თორნიკე ერისთავთან ერთათ მონაწილეობას იღებდა ბარდასკლეროსის დამარცხებაში. ამ ჯოჯიკზე უნდა იყოს აქ საუბარი.

4) შიოს-უბანი ნაწილია მუხრანისა და ეხლაც შიოს-უბნათ იწოდება.

3 კ.

5) პ. კარბელაშვილის აზრით ჩიქუნური უნდა იყოს ნასოფლარი ჩანგილარი სოფ. ალაიანის ზემოდ, მდ. ქსნის მარჯვენა ნაპირზედ.

6) გოდერძი ერისთავი მეათე საუკუნეში ცხოვრობდა (ქ.-ცხ. ტ. I, გვ. 203).

7) აქ მოხსენებული კვირიკე კახთა მეფე უნდა იყოს კვირიკე პირველი, რომელიც მეათე საუკუნეში ცხოვრობდა.

თრიალეთს ბჭითი ადრნესესგან ნასეაღი და შემოწირული<sup>1)</sup>; მანგლისკეკეს ბორცუის-ჯუარი ძუედადე მღუმიისა დინართეთგან (აიტეთგან) წადებუღი, აწ ახლად ზანისა ჩემისა დიდისა შეფისა და ვითისაგან შემოწირული<sup>2)</sup>; მოუგონელთა, ფერკადის და ფიცეს წურიღმანდ გლეხები; ცხირეთს ცხევერი და გავაზელნი წმიდისა შინის აქროთა და ვეცხლითა მონასეიდი ფავნელთა და ტბელთაგან<sup>3)</sup>; კობადი, რაიც რატი სურამელიისაგან შემოწირულია<sup>4)</sup>, და მათ მიდამთა რაიცა გლეხები ნახბის, სასხორს და ყოელგან სადმე მოსეიდული და შემოწირული. შესამედ ციხედიდს გლეხნი ძუედადე ნასეადნი, მათითა სამართლითა, ტეითა, წელითა, ველითა, საკმრითა და უკმრითა, ვითა კათლიკე ეკლესიისთა აქუს საკმარებდად, რაიცა საკმარებელი, ესე ყოელნი მათნი საქნებენნი, შეუვად გუიქმნიან ყოვლისა შესავლისაგან, თუით ჩუენისა სასეფისა და ყოვლისა მათისა მანდისაგან, ვითა ძუელითგან შეუვადნი საყრისთვოისა (საეფოისა), საცხისთვოისა და საშურტაოისა ყოვლისაგან; ეგრეთვე ქალაქს რომელ ქუღბაგნი აქუს, ხუთნი სხარსობითგანვე და თხნი რომელ (რლ) უკანის მოუედიან ჯ

1) აქ მოხსენებული უნდა იყოს მეფე ადარნასე მეორე, ძე დავითისა, რომელიც 923 წელს გადაიცივალა.

2) ბორცუის-ჯუარი პირველად შესწირა შიომღვიმის მონასტერს ბაგრატ მეოთხემ 1058 წ. და ამ შესწირულობის სიგელმა მოაღწია ჩვენამდის და გამოცემულია ფაქსიმილეთი ჩემ მიერ (იხ. *Сигель грузинского царя Баграта IV. Зап. Восточн. Отд. Имп. Русск. Археол. Общ. т. IX*). ლიპარიტ მესამე ორბელიანი რამოდენიმეჯერ წინააღმდეგა ბაგრატ მეოთხეს და მიითვისა სომხეთ-თრიალეთი, მაგრამ ძლიერ იქმნა და ბერათ შედგა ათონის მთაზედ.

3) ამ მამულების ნასყიდობის პირი და არა დედანი დაცულია, როგორც მინაწერი სინოდალურ კანტორის ვუჯარზე № 67 და დასტამბულია თ. ყორდანიას მიერ (ქრონ. I, გვ. 87—88).

4) რატი სურამელი ერისთავი ქართლისა თანამედროვეა გიორგი მესამის და თამარ მეფისა (ქ.-ცხ. I გვ. 283).

შემოწმირვან<sup>1)</sup>), თავისუფალნი და უხარჯონი საამიროისა, საამიდიისა, სარაისიისა, საგუსტასიობისა და ეოვლისა სახუგვრისგან:- ეგრეთვე წმიდა იგი უდაბნო მღუიძე ზირველად ჳ შერმე საქონებელნი მათნი უბაყონია ჩუენსა სამეოვას შიგან ეოვლეგან (ეწლეგან), და ჩუენცა კაკუითავისუფლებიან ბაყისგან ვაჭარნი და გლეხნი მათნი, ცხუარნი მათნი და მათთა სოფელთა ცხევერელთა, კაკვასელთა, ცხე- დიდელთა და სხალტბელთანი, ვითა ძუეელითგან უსაბანჯარონი ეოფიდან, ეგრეთვე ჩუენგან შუეუვალნი, და ნუ ვისგან აედების საბანჯარე:- მათნი სოფელნი ითან ქათალიკარისა მინიჭებითა ეოვლეგან ჳ ზანისა ჩემისა დიდისა მეფისა დავითისაგან მათისა ეკლესიისათუის ბოძებულნი, რომელ (რწლ) სასჯულთა მისავალი სახთლად მოიკმარონ, ეგრევე აწ გუიბრძანებთა და დავითმტკიცებთა ჩუენ, რომელ (რწლ) მათთა სოფელთა სასჯულთა ნუ ვინ ეცილებთ, და თუით ქანდაი მათი სა- ფურე და მისსა მხდვარსა შიგან აშენებელი მამისა ჩემისაგან. წყალ- შატროანი, ვითარად მამასა ჩემსა მოუცვალეთა, იგი ჩუენ მოგუი- კსენებთა, მასვე ეკლესიასა ზანისა ჩემისა აღშენებულსა ჳქონდეს მათი მისავალი სასჯულთა ეოველი, და ქანდაისა ნაცვალნი ჩუენ მოვაკ- სენთ წმიდასა შიოს, სადაცა შემდუიმენს ინებოს. მამისა ჩემისა მუხნარსა შენებასა შიგა თუის თავსა ერთსა დღესა სამუშაო ექ- ნევიან მათთა სოფელთა და რუეთისა და სხალტბისა და და ზედა დასდებოდა ეკლესიუფალთა ჩუენთაგან და იგიც კაკუიშუთა, ნუ- ცა რუეთისა და სხალტბისა და ნუ რომელსა სოფელსა მათსა რაი ექნევის, ნურაი სამუშაო ჩუენი სასეოთა, თუინიერ საკნავი გუ- მსახურთანი რაი დღე რუეთელთა, შიოთის-უბნელთა და ჩი- ქუნურელთა, ამან სამმან სოფელმან, და რაი დღე სამკალი ამათვე სამთა სოფელთა რუეთთა, შიოთის-უბანმა ჳ ჩიქუნურთა:- თხთთა ჳურისა მრ(ე)ცხელთა სხალტბელთა მარხნსა ჩუენსა ტეე-კარათა მო- სტეემდენ სამსა კუირასა:- სამართალი სამმარავთ-მეძებელი არცარაი წინის მესრულა, ნუცა სადა აწ შევლენ ჩუენნი მმარავთ-მეძებელნი, თუინიერ თუ გარეთი ნანარევი შედაკდეს მღუიმიისა გლეხსა, თუ მრავალჯერ ეპა-

<sup>1)</sup> ქულბაქანი სპარსთა დროითგან და შემდეგ შეძენილნი ზემოთ დასახელებულ დავით აღმაშენებელის ანდროპოიც მოხსენებულნი არიან.

როს მას კაცს, ანუ ჩამოარჩონ ჩუენთა ჩენილთა, ანუ გაზატოეონ, და თუ გარდინუეწოს სხუაგან, სდეკდენ ჩუენნი ჩენილნი და მისსა საქონელსა თანა არაი საქმე უც ჩუენთა მზარავთ-მეძებელთა, თუით მეძღუემისა კელისუფალმან თავნი ნაზარევისა ნატრონსა შეუქციენეს და სმართალი წმიდისა უდაბნოისათუის აიღოს: ბაზიარნი ერთსა დღედამესა აგარას დადგენ უწუენლად, ზემოთ მომავალნი, მეტად ნუცდეს დადგებინ. სსაღებელთა წყალშატროანს ნატოვსცენ ბაზიართა: მონადირენი ჩუენნი ნუ სადა შეუდგებინ, ნუ რომელსა სოფელსა მათსა. რადენ ქანდაი მონადირეთა სსადგომად მოიგვალა მამან(sic) ჩუენმან მეფემან დემეტრე მღუემისაგან და ნაცვალი ჩუენ მოვაკსენით წმიდასა მამასა შიოსა. და ქანდაი მონადირეთა სსადგომი არს: აგარასა სოფელმა ერთი ტაიჭი შეკუენახოს თორმეტითა რემითა მათ რემთა დაცვამდე და სხუათა სოფელთა მათთა მერემებნი ნუცა სიახლესა დადგებინ, ნუცარას აწუენენ, ნუცა ტაიჭთა უძოებენ, ნუცა კაცსა (კაცსა) წაჭგურინ მძოვნებელსა. ჩუენთა სსსეფოთა ადგილთა შიგა დადგენ და მღუემისა სოფელთა თანა არაი საქმე უც მერემებთა: მეჯორენი ნუცა სადა მათსა შიგა დადგებინ, ნუცა სადა შეესიძებინ, ნუცა მერემებნი, ნუცა მეჯორენი, ნუცა მანდატურენი, ნუცა შესწოლენი და ნუცაი დარბაზის ერი, ნუ რომელი (რელი), ეოფლითურთ უწუენრად იყოს იგი წმიდაი უდაბნოი. ესე ეოფელი (ეი), ვითა გუებრძნებია და დეკუიწერია გაჩენით წმიდისა უდაბნოისა მღუემისათუის, ნუმცა ვის უგადრებია წუენაი, ნუცა მის წმიდისა უდაბნოისა მღუემისაი, ნუცა მათთა საქონელთაი ნურაი დაჭირებია, ნუ ქათალიკობთა (ქაბთა); ნუცა სხუასა ებისკოპოსსა, ნუცა ერისთავთ ერისთავთა, ნუცა აზნურთა, ნუცა ჩუენთა კელის-უფალთა, ნუცა ციხისთავთა, ნუცა ჩინებულთა და ნურას გუარას კაცსა ნუ, რათა (რას) დმერთმან წმიდისა დმერთ-მემოსილისა მამისა შიოისა მადლითა და წმიდათა მეძღუემთა ლცვითა ამას სწუთოსა წარმართებია მოსცეს მეფობასა ჩუენსა და მერმესა ცხორებასა ბრალთა ჩემთათუის შემწე მეყოს წმიდაი მამაი შიო წინაშე ქრისტესსა: აწ, ვინცადა ნახოთ ბრძნებია და სიგელი ესე ჩუენი, ეოფელთავე დაუმტაცეთ და ნუ ვინ უშადავთ თუინიერ შეწუვისა და თანადგომისა, და თქუენ, წმიდათ მამადმოავარო ქათალი-

## საქართველოს სიმკვლენი

- 7

კახთა და წმიდანთა მღვდელთ-მძღვანეთა, უკუარბობთა დაამტკიცეთ: დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა: ანდ: კელითა შწიგნობრისა ჩუენისა და სეგა ბრუტაის-ძისათა:-

შემდეგ თვით გიორგი მეფის ხელით:

„ქ. მტკიცე არს ნებითა დთისათა“.

2. სიგელი დავით მეფისა, გიორგი ბრწყინვალის ძისა, 24X14 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაქდზე მეთოთხმეტე საუკუნის მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება ორ-ორი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ქართლის ცხოვრებაში (1, გვ. 451) ამ დავითის სიკვდილი აღნიშნულია 1360 წ. ამ ფრიად საყურადღებო სიგლის მიხედვით იგი ცოცხალი ყოფილა კიდევ 1365 წ. გასულს. ამით სწორდება ცნობილი ქრონოლოგია. ხელის მოწერა დავით მეფისა თუმცა დაცულია, მაგრამ ისეთი ხეფულით არის დაწერილი, რომ ძნელი გამოსაცნობია „მეფე დავით“ იკითხება, თუ სხვა სიტყვები. სიგელი გადმოგვცა მღ. პ. კარბელაშვილმა.

1365. ქ. ჩუენ, მეფეთა მკეეს და ვით ს, კეე ბრძანება (ბრძანება) ამისად ნიშნად გუბობება, კახთა ჩუხჩუახთა შიშთა, გარს ქისიეულსეული მამული შენთის(სი) გუბობება, სამართლიანა გასეიდული და დაწინდულიც, ყუელა შენ მოიკლე და კქინდეს ერთგულად სამსახურსა შიგა მეფობისა ჩუენისას, ურდოს დაშქარს შინა და გარე ყუელგან. დაიწერა ბრძანება ესე ქქნს: ნგ: დეკენბენს: დნ: კელითა გარის შწიგნობრისა ჩუენისა ქუერისძისათა. მეფე დავით (ხეფულად).

3. სიგელი ალექსანდრე მეფისა, ბოძებული ავთანდილ და სხვათა ზედგინიძეთადმი. ამ სიგლის ჩვენ მარტო პირი გვაქვს, პოლ. კარბელაშვილის მიერ გადაწერილი, რომელიც არაფრით არ განირჩევა თ. უორდანიას მიერ დასტამბულს პირიდან (ქრ. II,

გვ. 229—230). მოგვყავს აქ ეს სიგელი შესადარებლათ ქვემო მოყვანილ სიგლისა, რომლის დედანი ხელთა გვაქვს.

1426. ქ. ჩუენ მეუეთა მეეთისა აღექსან დრესკან, დავითან ბაგრატიანისა, და თანა მეტხედრისა ჩუენისა დედოფლისა თამარისკან, და ძეთა ჩუენთა კათალიკოსისა დავითისკან, ვასტანგ, დიმიტრი და გიორგისკან, ნებითა დთისათა, აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეეთისა შან-შანისა და ყოფლისა საქართველოსა და ჩრდილოეთისა და ღიხთ იმერისა და ღიხთ აშერისა, აღმოსავლეთ-დასავლეთამდის თუითფლობით მტკიცედ მშერობელისა. მოვიდეს წინაშე ჩუენსა ჩუენნი დიდად ერთგულნი და თავდადებით ნამსახურნი ზერდგინისძენი, გორის მოურავი და ეზოს ჩუენარეხი ავთანდილ, ზერდგინ და თაყა, გუგაჯენს, რათამცა სიგლითა ამით შეკუეწაღნეს, და ვისმინეთ აჟა მათი და მიუბძეთ ქარუშისძე ქავთარ და მისი შვილი და მომავლნი სხლისა მათისანი, მათითა მამულითა, საჯდომითა, სხლითა, ყანითა, ვენაკითა, წყლითა და ბართა, საკმრითა და უკმრითა, მისითა სამართლიანითა ერთობ ყუეღათა სამეუიდროდ, სამაშულოდ და უცილებლად ყოფლისა და ბაძებულისკან, მოგვიცემია ქარუშისძე ქავთარ და მისნი შვილნი თქუენ ზერდგინისძეთათვის ავთანდილისათუის, ზერდგინისათუის და თაყასათუის, ვერავინ დაგეცილოს ქარუშისძეს ქავთარს, მისთა შვილთა და მომავლთა და რასცა დდეს მქონებელი არის, გერას უამისა შემოსრულობისათუის ვერასა უამისა შიგან ვერა. და თუ ვის რა ამა ჩუენგან ბაძებულისა წიგნი და ნიშნი აქუს, ყუეღას ამა სიგლითა გაგვიცუდებია და მტკიცე ესე რდენ არის, კვდომხსნით და ყოფლისა დაბაძებულისკან უსარჩულად მოგუიხსენებთან თქუენ ზერდგინისძეთა ავთანდილისათუის, ზერდგინისათუის და თაყასათუის ქარუშისძე ქავთარ და მისნი შვილნი მათითა მამულითა და საქონებლითა ყუაღათა, და არავინ გვიბრძანებია მშლეღ და მტკიცელო მტკიცედ ბაძებულისა ამის ჩუენისა, არცა მეუხებლე, მავნე და დამაკლებელი. აწ ვინცა ნახოთ ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი შემდგომად ჩუენსა მომავლთა [მეუეთა] და დედოფლთა, ერისთავთ-ერისთავთა

და კარის ჩუენის ვაზირთა, მასაქმეთა, მეჯინიბეთა, მერემაეთა, მეუ-  
ლეუეთა, ზურის და სხვადასხვა მერეებეთა, ტუეისა მზარავთა, მეუღა-  
ეეთა, შემეძებრეთა, მესბახზრეთა და ყოველთავე კარით ჩუენით წარუღე-  
ნაღთა მსახურთა, დიდთა და მცირეთა, დაუმტკიცეთ და ნუ ვინ  
უშლავთ მტკიცედ ბოძებულსა ამას ჩუენსა და ნურცანს ვინ დასკ-  
ლებთ, ნუ დიდს და ნუ მცირეს, თუნიერ შეწევნის და თანა დგო-  
მასგან კიდუ. დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი ანდიკტიონ-  
სა შეფობისა ჩუენისსა იგ, კელითა კარის მწიგნობრისა ჩუენისა  
კ დ ი მ ი კ ა კ ლ ა ჩ ა ს ძ ი ს ა თ ა . რაცა მისის ძმის ჩ ს უ ტ ე ლ ა -  
ს ა გ ა ნ მამუდი [ქქაბეთა], მითა მამუელითა მოგვიცემთა შევიდრად  
და სამამუდოდ.

ხელჩართულთ ხელის მოწერა მეფის ალექსანდრესი და შემდეგ:

მე ვანტანგს დამიმტკიცებია.

მე დემეტრეს დამიმტკიცებია.

4. სიგელი ალექსანდრე მეფისა, ბოძებული გორის მოურავის ავ-  
თანდილ ზედგინისძისადმი, 94×25 სანტ., დაწერილია ქალაღ-  
ზე მრგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება ორ-ორი  
წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. სიგელი ძლიერ დაზიანე-  
ბულია, თავი არა აქვს, კიდევები გაფუჭებულია და ბოლოსკენ  
ქალაღდი დაწეწილი. დედანი გაღმოგვცა გიორგი ოთარის ძე  
ამილახვარმა.

1429. ...ისგანსა და კასნი და იგა[ეთა]<sup>1)</sup>... იგა... [მოგ]კციით  
ციხითა, მონასტრითა, კვლეხითა, გლეხებითა, ყანითა, ვუნაკითა[ა],  
წისქვილითა, ჭაღითა, სთაბითა, ტყითა, სანადირთა, მზღვრათა,  
ყოველითა სკამრითა და უკამრითა და მისითა სამართლანითა, რაცა  
იგაკეთისა ზღვარნი და შესავალნი არიან, [მის]ითა ყუაღათა უკვლებად

<sup>1)</sup> სოფლები—იგოეთი და კასპი მდებარეობენ სამთავისიდან ორ  
ვერსტზედ და კასპი ათ ვერსტზედ, ორივე მდ. რეხულის მარჯვენა მხა-  
რეს.

...ი გომნი, ნადარბაზევი იაჯნეს და როგორც არ დაქუალ...  
 ჩუენთა დადად ერდგულთა და თავდადებით ნამსახურთა ჩუე[ნთა]  
 ზედგინისძეთა, ეზოს ჩუენარესს და გორის მოურავს ავთან-  
 დილს, ჩუენთა თანა შუზრდილ-გაზრდილთა, მღაარეთ უხუცესს  
 თაქას და ზეკვდგინს, აგრე არ დაუწუალბეთ და ვაჯეთ და მი-  
 ვეცით [დიდისა სსს]ხლოთა, გლეხებითა, მზღვრითა, მითთა [და]  
 ბართთა მისითა, უკლებლად ერთბე უკლათა მიუბძეთ და მი-  
 ვეცით ს... და სამამულოდ და მოუდევრად და აუცილებლად  
 ეოვლისა [და]ღებულისაგან. გუბობებისა და მოგუიციებისა თქუენ ჩუ-  
 ენთა ერდგულთა და თავდადებით ნამსახურთა ზედგინისძეთა, ეზოს  
 [ჩუენარესს] და გორის მოურავს ავთანდილს და ჩუენთა თანა  
 შუზრდილ [გაზრდი]ლთა, მღაარეთ უხუცესს თაქას და ზეკვდგინს  
 და შვილთა და მომავლთა ეოვლთათუისვე სხლისა თქუენისთა  
 კასნი და იგოეთი... ქალისა ნასისხლად ციხითა, მონასტრითა, აზ-  
 ნაურითა, გლეხებითა, ვენაკითა, წუელითა, წისქვილითა, ჭაღითა, ს-  
 თიბითა, ტუითა, სამ[ზღვარ]-მზღვრითა, მითთა და ბართთა, სკპრითა  
 და უკპრითა, მის მიმდგამითა და შესავლითა, ერთბე უკლათა. ამას აქ-  
 თი ნა[დაარბაზევი], გომნი იაჯეთ და იგი მოგიმეტეთ და გიბძეთ  
 ნადარბაზევი სსსხლოთა, გლეხებითა, უანითა, ვენაკითა, წუელითა, წის-  
 ქვილითა, ჭაღითა, სთიბითა, ტუითა, სსნადირითა, მზღვრითა,  
 მითთა და ბართთა, სკპრითა და უკპრითა, მისითა შესავლითა, ერ-  
 თბე უკლებლად უკლათა. ქონდეს თქუენ, ზეკვდგინისძეთა ეზოს ჩუ-  
 ენარესს და გორის მოურავს ავთანდილს და ჩუენთა თანა  
 შუზრდილ-დაზრდილთა, მღაარეთ უხუცესს თაქას, და ზეკ-  
 ვდგინს, კასნი და იგოეთი ნასისხლად ციხითა, მონასტრითა, აზნ-  
 ურითა, გლეხებითა, უანითა, ვენაკითა, წუელითა, წისქვილითა, ჭაღი-  
 თა, სთიბითა, ტუითა, სსნადირითა, მზღვრითა, მითთა, ბართთა,  
 სკპრითა და უკპრითა, მისითა შესავლითა უკლათა ერთბე უკლებ-  
 ლად. ამას აქთ ნადარბაზევი იაჯეთ და გ[იბძეთ] ნადარბაზევი და  
 მოგუიციით სსსხლოთა, გლეხებითა, უანითა, მისითა ვენახითა, წუელი-  
 თა, წისქვილითა, ჭაღითა, მითთა, ბართთა, ტუითა, სსნადირითა,  
 მზღვრითა, მისითა მიმდგამითა და შესავლითა ერთბე უკლათა. ვე-  
 რაინ დაგეც[ილას] ვერა დასადებუდი კანდი, ვერასს უამისა შე-

მსრულეობის და გამცველისთვის, ვერა, ვითა თქუენს ნასისხლს და ჩუენგან წყალობა [დამართ]ებულს მართებს აგრე. და თუ ვინ დაგეციდოს, ზირნი და ზასუხის გამცემნი ჩუენ ვართ. და თუ ვის რა ამა ნასისხლის კასნი-ოგოეთ[ის] და ანუ ჩუენგან წყალობად ბოძებულის გომთა ღნადარბაზევისა სიგელი [ქქონ]-დეს, იგი უფალს ამა დაწერილითა გაგვიცუდებია და მტკიცე ესე ოდენ არის. ვინეთგან მოგუებრა ნიავ-სურნელმან ღთისა [წყა]ლობისმან და ძალითა და შეწვევითა მის შ[ი]ერითა და ორისავე [ჩუენ]ისა სამეფოსა სკიპტრა-ზორფირისა და გუიარგუინისა მხერობელ ვაქმენით, ჩუენგანცა ესე სათანადო იყო და ვინებეთ ჩუენთა დიდად და თავდადებით ერდგულთა კაცთა სათნებთანთა, განსაკებთა სკეკლმწიფოთა ძნად მიმთხრობთა, რამელ ჩუენისა გაზედაებისა და მორკმისა და [აღმა]ტებისა მიმდეჲდ შეტდე-დამჭირენი არიან ზეგვდვინისძენი, ეზოს ჩუენჩარენი და გორის მოურავი ავთანდილ და ჩუენთანს შუზრდილ-გაზრდილნი მელარეთუხუცესი თაჲს ღ ზეგვდვი... [გ]უეგუ-დავებს და მივეციით და მიუბოძეთ სასისხლად კასნი და [იგოეთი] სრულად მისითა მზღვრითა და შესავლითა და ამას აქათ ნადარბაზევი სრულად მისითა შესავლითა ესრეთ სამეუიდრად, სამამულად, რამე ზეგვდვიეთა (sic) გუარისა ქალი იყოს, არცა ოდეს მას წყადოს. ვითა ჩუენს და ჩუენგან წყალობად ბოძებულსა მართებს, აგრე არას ჟამის მოცვალებისთვის არ მოეშალოს. არავინ გუიბრძანებია მქცეველი მტკიცედ ბოძებულისა ამის ჩუენისა და არცა მუენებლებელი და დამკლებელი. და ვინცა ნახეთ ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი შემდგომად ჩუენსა მომავალთა შეუეთა და დედოფალთა და ერისთავთა, კარის ჩუენისა ვაზირთა და მორავთა(ს'ვ), გორისა და ატენის მოურავთა და ცახანთა, მეჯინიბეთა, შერეჲეთა, ბაზიართა, მუულუფეთა, შურისა და სკელავის შერებელთა, ტუუისა მხარავთა, მექობართა, მებანჯრეთა და ეგველთავე კართ ჩუენითა წარვეციხილთა მონასხურეთა დიდთა და მცირეთა, დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უძლავთ მტკიცედ ბოძებულსა ამას ჩუენს და ნუცა ვინ რას დააკლებთ, ნუ დიდსა, ნუ მცირესა, თუნიერ თანა-დადგომისა და შემტკებისაგან ვიდე. დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი ქქნისა: რიზ: ინდიკ-დაიონს (sic) შეუბობისა ჩუენისას... [კე]ლითა ორთად ცოდვილისა და

ყოველთა უნარჩევანის კარის მწიგნობრის კ დ ი მ ი კ ა კ ლ ა ჩ ა ს -  
ქ ა ს ა თ ა .

შემდეგ მათავსებულნი არიან ხვეულად და სამ სტრიქონათ ხელის  
მოწერანი ალექსანდრესა და მისთა ძეთა და ბოლოს სწერია არა ხვეულად:

„ქ: დეპეტრეს: დამიმტკიცებია: ნებიათ: დმრთისთა“.

5. სიგელი ალექსანდრე მეფისა, ბოძებული ავთანდილ ზევდგინი-  
ძისადმი. 84,5×25,5 სანტ., დაწერილია ეტრატზედ მრგვალი  
მხედრულის ხელით, ნიშნებათ იხმარება სამ-სამი წერტილი ყო-  
ველი სიტყვის შემდეგ.

1430. ქ. ჩუენ, მეფეთა მეფისა ალექსანდრესგან და თა-  
სა მეცხედრის ჩუენის ზატონისა დედაფელთა დედაფელისა და ძე-  
თა ჩუენთა ვასტანგ, დიმიტრი და ზალისგან, დავითაინ ბაგრატიონია-  
ნისა, ნებიათ ღათისთა აფსაზთა, ქართველთა და სომეხთა მეფისა,  
მარვან-მანმა და ეოფლის აღმოსავლეთით დასავლეთამდის თუთი ფელ-  
ბით შეფლობელ-მხერობელისა. — მოვიდეს წინაშე ჩუენს ჩუენნი დიდა  
ძუელით გუარით გამო და ვიდრე მოაქამდმდის ერდგულნი და თავ-  
დადებით ნამსახურნი ზევდგინისძენი ეზოს ჩუენჩრეხნი ავთანდილ  
და მათნი ძმის წუენნი, ჩუენი თანა-მეზრდილ გავრდილი და ჩუენისა  
მორტუემისა და ამოდყოფისათუის დღივ და დამე თავდადებით შექმე და  
მეცდე-დამჭირნე კაცი, მამად-კაცი და ჩუენისა სხლისა განზრახვ-  
თა კეთადად შეგმებელი და მეცნაგ-მიმთხრობი და ეოფლითურთ სათ-  
ნობიანი მოღარეთ-უხუცესი თაყა და ბიძის წუელი ზევდგინ ჯგუე-  
ჯანეს, რათამცა ისდენთა ვალთა და სმსახურთა სხანცკლად სიგლითა  
ამით შეგუეწყაღნეს და გორის მოურაობა მიგუეობას. და მოჭებრა  
ნიავმან ღათისა წყალობათამან და, ვითარ მეკისხდგრების ესრეთ  
დადად სურვილით და სტრფოდ ერდგულობას მათსა, კერეთ არ და-  
ვიძურგეთ და შევეტათ და შეუბძეთ გორის მოურაობა, რათაცა წე-  
სათა ძუელითგან გორის მოურავთა გორის ბაჟი ჭქანებია<sup>1)</sup> და ანუ

<sup>1)</sup> ივთეთის პირდაპირ ერთის ვერსტის მანძილზე არის ღეთისმშო-  
ბლის ძველი საყდარი და გარშემო ნანგრეენი, ამ ადგილს ვერ ასცდებო-

გორს და გორის გარეშემოთა შიგან უსაქმებია, მითავე წესითა ბაჟი თქუენ გქონდეს და მითავე წესითა გორს და გორის გარეშემოთა შიგან თქუენ საქმობდით. გუიბობებია გორის მოურავობა სამკუიდროდ თქუენ, ჩუენთა დიდად კრდგუელთა და თავდადებით ნამსხურთა ეზოს ჩუხჩარესს ა ვ თ ა ნ დ ი ღ ი ს თ უ ი ს, და თქუენტა ძმისწუელთა ჩუენთა თანა - შეზრდილ - გაზრდილთა მოლარეთ-უხუცესისს თ ა ე ა ს ა თ უ ი ს და ზ ე ვ დ გ ი ნ ი ს თ უ ი ს და თქუენტა შვილთა და მამავალთათუის. და არასა ჟამისა შემოსრულობისს და გამცვალეობისათუის, არასა ჟამისა შიგან არა მოკეშალს, გქონდეს თქუენ, ჩუენთა დიდად კრდგუელთა და თავდადებით ნამსხურთა ეზოს ჩუხჩარესს ავთანდილს, და თქუენტა ძმისწუელთა მოლარეთ-უხუცესს თაჟას და ზევდგინს, და არა წაგედოს. და თუ რამე ასეთი რამე საქმე შეგუცოდოთ, რომე მოურავობისს წადებო გუძართებდეს, სხვითა სამუელთა გარდაგაქდევინოთ და მოურავობა არცა მამინ წაგიდოთ. აწ ვინცა ნახოთ ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი შემდგომად ჩუენსა მამავალთა შეუეთა და დედოფელთა, ერისთავთა-ერისთავთა და კარის ჩუენისა ვაზირთა და მოსაქმეთა, მეჯინბეთა, მერემაეთა, მუელუიეთა, ზურისა და სავლავისა მერებელთა, ბაზირთა, მუელაუეთა, მზარეთ-მეძებართა, ტეის მცველთა, მესთანჯრეთა და უფელთავე ჩუენით კართა წარვლენილთა მოსამსხურეთ, დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უძლავთ მტკიცედ და სამკუიდროდ ბობებულსს ამას ჩუენს. და ნუცავინ რას დააკლებთ ნუ დიდს და ნუ მცირეს და ნუმცა ვისგან მოიგონებთ ქცევა და მოძლა ამისი. როგორცა ამ ჩუენგან შეწყალებულთა და სამკუიდროდ კელისა მქებებელთა ზევდგინისქეთა ეზოს ჩუხჩარესს ავთანდილისი და მოლარეთ-უხუცესისს თაჟასი და ზევდგინისი გმართებს. დაიწკარ სიგელი და ბრძანება ესე ჩუენი ქვსს: რ ი ზ: ინდიკდიონსა მეფობისა ჩუენისასა: ი თ: კელითა

და უწინ ტფილისიდან ქართლისაკენ წამსვლელ-მომსვლელი. მცხეთიდან მუხრანზედ მიდიოდა ძველი სავაჭრო გზა. ამიტომ უძველეს დროიდან აქ იყო გამართული „საბაჟო“ და ამილახორის მოხელენი იღებდნენ ბაჟს. დღესაც მთელი რეზის ხეობა „საბაჟოს“ უწოდებს ამ ადგილს.

ეფეელთა უნარჩუკესის კარის შვიგნობრის ჩუენის კლიში კაკ-  
დაჩასძისათა.

შემდეგ ხვეულათ:

„მე აღექსანდრე ვამტკიცებ“<sup>1)</sup>.

არა ხვეულად:

ქ. მე ვახტანგსა დამიმტკიცებია.

ქ. მე დემეტრესა დამიმტკიცებია.

ქ. მე გიორგისა დამიმტკიცებია.

ქ. ჩუენ მეფეთ მეფე ხატონი როსტომ ვამტკიცებთ სიგელსა  
და ბასის ამას. როსტომ<sup>2)</sup> (ხვეულით).

6. სიგელი მეფე გიორგი მეცხრისა, ბოძებული ზევდგინ ზევდგი-  
ნისძისადმი. ამ სიგლისა ჩვენ მარტო პირი გვაქვს პ. კარბელა-  
შვილის მიერ გადაწერილი, რომელიც უდრის თ. ყორანისა  
მიერ დაბეჭდილს ტექსტს (ქრ. II, გვ. 266—267).

1453. ქ. ჩუენ დთივ გუირგუინოსნისა მეფეთა მეფისა გიორგი  
სოლომონან-ბატონისან, ნებითა დთისთა აფხაზთა, კასთა და  
სამქსთა მეფისა, შანშა და შარფანშა და ეფელისა აღმოსავლეთისა და-  
სავლეთადის თუთა კელმწიფედ მტკიცედ მეფლობელ-მეურთბელთასა.  
—მოფიდნენ დიდად ერთგულნი ჳ თავდადებით ნამსახურნი, ჩუენის მორ-  
ჳმისა და ეფისათუის დდე და დამე მომწირნენი, ჩუენი თავადი ეშ  
ზეკდგინ იეა ეზოს ჩუენჩარუხი და გორისა მოურავი, ჳეკდგინ  
და ამირინდო<sup>3)</sup> და ავთანდილ, გვეჯუნეს და მოგვანსუნეს,

1) თუმცა ხელის მოწერა მშვენიერათ არის დაცული, მაგრამ გა-  
დაჭრით არ შეგვიძლია თქვა, რომ ხვეულში ეს სიტყვები იკითხებოდეს.

2) ეს ხელის მოწერა მე-XVII საუკუნეს ეკუთვნის. სხვები თანა-  
ნამედროვენი არიან სიგლისა.

3) ჩვენის აზრით ამა ამირინდომ (ძალით წართო გურამიანთ წი-  
წამურში?) წამოასვენა ჯვარ-პატიოსანი, შეამკო ოქროთი და ძვირფასი  
თვლებით და დაასვენა ცხვილოს ციხის დაბლა ძველს „ჯვარ-პატიოსნის“  
საყდარში.

რათაშცა ერთგულობის სიგლითა ამით შეგვეწყვალნეს და მათთვის წუგლბობა გვეყო. ვისმინეთ აჲა და მხსენებთა მათი: ქარამის ძენი ზატრანის მეფისა აღექსანდრესა განცა თქუენთვის მკუიდრად საუმოდ [ნაბოძები]. ნაბოძუმან კაცმან თქუენი თავი შემოგვაბეზდა და ცოტასოდენ კანსა [ხამოგართვით?]. კიდე მოკითხული ვქუენით და ვოგვესა საქმესა ზედან მართადნი და უბრალონი იყავით და ჩუენს ანაიერსა სამდურავსა არას გემართლებოდათ, და ქარუმიძე მკუიდრითა მამულთა თქვენვე გიბოძეთ მათათა მითითა, ბართა, ვედითა, ვენხითა, ტუითა, სხნადირთა, ჭვლითა, სთაიბითა, მზდურითა სმართლიანითა, ეუკლათა ერთობ სრულად და უკლებლად. არავინ იყოს მოსარჩლე თქუენი, არცა მუენებლე-მავნებელ-დამაკლებელი, თუინიერ თანადგომისკან კიდე. ესე ბძსნებს და ნაშხნი გვიბოძებთა. დაიწერა მტკიცე სიგელი ესე ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა: ლ: ქჷს: რმ: ნაემბერს იბ, კელითა წი რქუაღელი სისა მუშობისა რატონითა. ხელჩართული ხელის მოწერა მეფისა.

7. საფიცრის წიგნი, მიცემული მეფე გიორგი მეცხრის მიერ ზედგინიძე-ამილახვრისადმი, 27×16,5 სანტ., დაწერილია მოყვითლო ქაღალდზედ მრგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება ორ-ორი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. თავი აკლია, თავისკენ მარჯვენა მხარე მოხეული აქვს და ისეც ძლიერ დაზიანებულია. სიგელი უნდა ეკუთვნოდეს 1460 — 1465 წლებს.

1460 — 1465. [მინ]დობითა და შუ[ამდგომელობითა... წთა თავდებობითა [ღ შუა]მდგომლობითა ესე... [გას]თავებელი ფიცი, ზირი [გიბოძეთ ჩუენ მეფემან] ზატრანმან გიორგი... თქუენთა შეიღთა ასრედ ამა ზირსა ზედან რამე ვიუენეთ თქუენთა ...არას კაცის ენითა გაუკითხავად... და არა შეგიბზელთ არას... შჷს კაცს სთალოდ წასკდენლად და დასარბევად და...]ად არა დაკანებოთ, რასცა... რნებელი იუენეთ, ანუ მამულ...სა თუ არა მოგიმატოთ, მისკან არა დაკამცი[რო]თ, რა ვიცით, და ან მამულისსა...სა ვისმე მიესარჩლებო-

დეთ, რაც შეეატო მართლით სამართლითა გარდაწყუეტას და წუ-  
ლობას ვეცადნეთ და უსამართლოთ არა რომელს გარდავსწიოთ. ამი-  
სად გათავებისად თავდებად თავად დ'თი და ესე შემოწერილნი წ'ნი  
მოგუიციჲთ. გ ი ა რ გ ი (ხელჩართულია).

8. ანდერძის წიგნი მეჯინიბეთ უზუცესის მამისა ზევდგინიძე-ამი-  
ლახვარისა, ბოძებული თავის ძმიწულის ზაქარიასადმი, 63X19  
სანტ., დაწერილია ეტრატზედ ლამაზის მგვალი მხედრულის ხე-  
ლით, მელანი დროთა ვითარების გამო ძლიერ მქრალია და  
ზოგ ადგილს გადასული. ნიშნებათ იხმარება ორ-ორი წერტი-  
ლი ყოველი სიტყვის შემდეგ. საეჭვოთ ამონაკითხს სიტყვებს  
ჩვენ კითხვითი ნიშნებს უსვამთ.

1477. ქ. სახელითა დ'თისა, სამგუამოვნად ცნობილისა, ერთარ-  
სებისა, ერთუფლებისა და ერთდათებისა დ'თისა მამისა, დ'თის ძისა  
და დ'თის სულისა წმიდისათა, თავსმდებობით, მინდობითა და შუამ-  
დგომლობითა ე'დ წ'ის უხრწნელის უმეტეს კურთხეულისა დედა-  
ფლისა ხუენისა დ'თის მშობელისა და მარადის ქაღწულისა მარამი-  
სითა, ძლიერებითა ცხოველს შეოფელისა ზატოისნისა ჯუარისა, ძელისა  
ცხორებისათა, ოხითა და შუამდგომელობითა წმიდათა და ზეცისა ძაღ-  
თა ანგელაზთა და შიავარ ანგელაზთა მიქაელ და კაბრიელისათა,  
თანა მოქმედება-მდგომარეობითა წ'ისა და ეოველთა დედათა ნამეთა  
უზესთაყსისა წინასწარმეტყუელისა, წინამარბედისა და ნათლისმცემე-  
ლისა ი'ესითა და წ'ისა ი'ე მახარებელისა და დ'თის მეტყუელისათა,  
თავსმდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა წ'თა და თავთა მო-  
ციქულთა ზეტრეს და ზავდესითა, ზიორთა მოციქულთა და სამოცდა-  
ათეულთა ქს მოწაფეთათა, თავსმდებობითა, მინდობითა და შუამდგო-  
მელობითა წ'თა მოწამეთა გ'გი, თ'ე, დიმიტრი, ზროკი და ზან-  
ტელეიმონისითა და წ'თა ქაღწულ-მოწამეთა თეკლა, ეკატერინა, ირი-  
ნა, მარინა და ბარბარესითა და ეოველთა ქრისტესთაყისა წამებულთა,  
რომელთა დასახელებს სისხლნი მათნი და სისხლთა დასხევითა გუარ-  
გუინსან იქმნეს, ოხითა და შუამდგომელობითა წმიდათა წინასწარ-

მეტყუელთა, მღრღვლთმოდურთა მოწამეთა და ნეტართა მამათათა (!) და უფელთა ღთის წმიდათა ზეცის და ქუეყანათათა, რომელნი სუ-  
კუნთოვან სთნთა ეუენეს უფალსა ჩუენსა იესოს ქრისტესა და კუ-  
ლადნა სთნთოფოდ არიან: — და უფელთა ჩრდილოეთის (bis) კე-  
დართა შორის უადრეს უზენაესისა კათოლიკე დედაქალაქის მცხეთის  
სუდრისა და მუნ შინა ღთავ აღმართებულისა სუეტისა ცნოველისა,  
კურთისა სამეუფოსა, და შორისისა ღთმეოფელისათა, — ამთ უფელთა  
ღთის წთ თავსმდებობითა და შუამდგომელობითა მე უფელთა  
კატთა უნარჩუესმან მუჟინბეთა უზუცესმან მამოსამან ესე უკუნისმდე  
ჟამთა კასთავებელი ანდრძისა წიგნი მოგუგ შენ, ჩემსა ძმისწუფლსა  
ზაქარიასს, კითხვითა და დამაწმებითა წმიდისა მეუფისა კოსთა და  
ვითოსითა და უფელთა ჩემთა უფროსთა მცხეთისშვილთათა, მას ჟამს  
ოდეს ცოდვთა ჩემთა სიმრავლისკან უშუალოდ დავრნი და ჩემი  
კერძი შეილიერობა დასრულდა; ამასწინათგა ერთისხლნი და გაუყო-  
ფელნი ვიუკენით და აწცა ისრევე დავაგდე ჩემი სხელი და მამული,  
ასრე რომე, რაგა სუდრისა და კათალიკოსთკან წყალობა გუჭირდა  
და მამული მქონდა, უუადა (!) ჩუენთუის სამკუიდროდ ბოძებული იყო  
და მამულიცა ერთი და გაუყოფელი იყო; აწ იმავე წესითა გაუყო-  
ფლად მე დავაგდე და მოგუგ შენი და ჩემი კერძი ორივე ასრე და  
ამა წესითა, რაგა სამცხეთისშვილო წილი და სძმთა ჩუენსა სხლსა  
მოხდომთა, იმავე წესითა მოგზუდებოდეს, მცხეთას რაგა სხელი და  
მამული არის იგი უკლებოდ გქონდეს: — კარსანს გლეხნი სმნი  
ღუინიასშვილი სოლომონასშვილი და მისითარას-  
შვილი მათათა მამულითა; ჟურს ესემბუდასშვილი მისითა  
მამულითა; და ძაგნაკარნათა შადვიასშვილი სუტლიას-  
შვილი და სარეე ანატანს ვენაგი სულიაური და სოფელი  
ხატისწობენი მისითა შესვლითა და გამოსვლითა, მით წე-  
სითა, რაგურაგა სუდრისა კოსთა და მეფე(თავს) სამკუიდროდ  
ბოძებული არის. ესე ასრე გაკითხედეს და არაჟინ დაგუტრილეს, რა-  
გურაგა არაჟინ გემართლების და რაგურაგა სხუას(ს) არაჟინ მარ-  
თებს ესე ჩუენი მამული და მონაგები, აგრევე (ვე)რავინ<sup>1</sup> მო-

F 8. 735  
4  
1076

<sup>1</sup> დედანში: აგოვერაჟინ.

საქართველოს  
პარლამენტის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა



გომალის შენ ჩემის ძმის (!) სჯარის და შენთ შვილთა და მო-  
მავალთა უფელთავე. (ვინ)ცა ესე ჩემი ნაღუაწი და ანდერძი მოგიშ-  
ლას და შეგიცვალას, შემტაცვალეების სჯულისგან ქრისტიანეთას;  
რისხავსცა დაუსაბამო ღთი შამა, ძე და სული წმიდა, უფელნი წმი-  
დანი ღთისანი ზეცისა და ქუეყნისანი; კრულმცა არს ცათა შინა და  
ქუეყნისა ზედა და ნურათამცა სინანულითა იქმნების კსნა სულისა  
მისისა და ჩემთამცა ცოდვათა და ბრალთა მსდველი არს წინაშე  
ღთისა. და (?) ვინ (?) (და)ამტკიცეთ, ღნ (უ)ფელი გაგებული  
მ(ისი) მტკიცეულს. . ამისნი მოწამენი არ(იან).... ჯუარის მტვირთ-  
ველი (?) იქე გი (?) ბირახუასძე (?) ვირშელი (?) გი და  
სულთა შამა (?) ანთაკუისძე (?) ნუგზარ ცოდხასძე კასა  
მთავარასძე ამირინდო კუინდილეს შვილი დიმიტრი  
დეკანოზი იორდანე გაბრიელის შვილი ბადრი და ერთსუ-  
ლობით (?) მცხეთის შვილნი დაიწერა ქკსა: რ: სამოცდახუთას  
კელითა (?) ფრიად (?) ცოდვილის მასხარებელითა, მოწამეცა  
არს: — †

ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

ADDENDA ET CORRIGENDA

დაბეჭდილია

2 <sub>29</sub>	ამით . . . . .	ამითა
3 <sub>11</sub>	ხახელაგისაგან . . . . .	ხახუილაგისაგან
4	დავითისაგან . . . . .	დავითისგან
4 <sub>10-11</sub>	მესამედ . . . . .	(ეს სიტყვა მერმეა ჩაწერილი გა- დაფხევილ ადგილას)
5 <sub>8</sub>	შეუვალნი . . . . .	შეუვალნია
5 <sub>9</sub>	ქათალიკოზისა . . . . .	ქართლისა კათალიკოზისა (<ქ <sup>ა</sup> კ <sup>ო</sup> ზისა)
5 <sub>10</sub>	დავითისაგან . . . . .	დავითისგან
5 <sub>11</sub>	ბოძებულნი . . . . .	ბოძებულნია
5 <sub>18</sub>	მამისა ჩემისა . . . . .	მამასა ჩემსა (ჩ <sup>ა</sup> მსა)
6 <sub>24</sub>	ქათალიკოზთა . . . . .	ქართლისა კათალიკოზთა
6 <sub>31</sub>	ვინცალა ნახოთ . . . . .	ვინცა ჰნახოთ
6 <sub>33</sub> -7 <sub>1</sub>	ქათალიკოზო . . . . .	ქართლისა კათალიკოზო (<ქ <sup>ა</sup> კ <sup>ო</sup> ზო)
13 <sub>19</sub>	მპარავთ-მეძებართა . . . . .	მპარავთმეძებართა
16 <sub>13</sub>	ერთლთაებისა . . . . .	ერთლთეებისა
16 <sub>14</sub>	თავსმდებობით . . . . .	თავსმდებობითა
16 <sub>14</sub>	შუამდგომლობითა . . . . .	შუამდგომელობითა
16 <sub>17</sub>	ცხოველს მყოფელისა პა- ტიოსნისა . . . . .	ცხოველსმყოფელისა და პატიოს- ნისა
16 <sub>25</sub>	თავსმდებობითა . . . . .	თავსმდებობითა



